სადაზღვევო კომპანიების, როგორც საქართველოს ეკონომიკის ინვესტირების წყაროს გამოყენების პერსპექტივები

თეონა ელიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების (სადაზღვევო საქმე) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა „სადაზღვევო საქმე“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,
სრული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2014

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თეონა ელიაშვილი

13.06.2014

აბსტრაქტი

მსოფლიოში საფონდო ბაზრებზე სადაზღვევო კომპანიები და საპენსიო ფონდები ერთ-ერთი ძირითადი მონაწილეები არიან და მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებენ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებით. საქართველოში კი, დღეისათვის, ამის პრეცენდენტი არ არსებობს. აქედან გამომდინარე, მოცემული ნაშრომის მიზანია საქართველოს სადაზღვევო სექტორის მიმდინარე საინვესტიციო საქმიანობის ანალიზი და მისი სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა, რათა გამოვლინდეს სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოტენციალი ქვეყნის ეკონომიკის დაფინანსებითვის. ნაშრომის მიზნის შესაბამისად, კვლევის ფარგლებში, მოხდა სადაზღვევო ინვესტიციების თეორიული ბაზისის გამოკვლევა და საერთაშორისო საინვესტიციო მოდელების განხილვა, მის საპირისპიროდ კი საქართველოს სადაზღვევო სექტორის საინვესტიციო საქმიანობის ანალიზი, რის შემდეგაც, ნაშრომში წარმოდგენილია სადაზღვევო კომპანიების, როგორც ინსტიტუციური ინვესტორების როლის განვითარების პერსპექტივების შეფასება. კვლევის შედეგებსა და მათ მნიშვნელობაზე დაყრდნობით, შემუშავებულია დასკვნა, რომ საქართველოს ეკონომიკაში სადაზღვევო სექტორის საინვესტიციო პოტენციალი არის დაბალი და არარაციონალურია, ამ ეტაპზე, მასზე მნიშვნელოვანი ყურადღების გამახვილება, ეკონომიკის ინვესტირების კუთხით და რეკომენდირებულია გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები მთლიანად სადაზღვევო სექტორში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ინვესტიციები, სადაზღვევო ინვესტიციები, საქართველო, კაპიტალის ბაზარი, ეკონომიკის ინვესტირება, საინვესტიციო პოტენციალი.